

საქართველოს მთავრობის

განკარგულება

N 965

2010 წლის 16 ივლისი ქ. თბილისი

სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საქართველოს მთავრობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ

1. “საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საქართველოს მთავრობის სტრატეგია.

2. სტრატეგიაში მოცემული ამოცანებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის კანცელარიის მმართველობისა და ეკონომიკურ საკითხებში მრჩეველთა ჯგუფმა (სამსახური) უზრუნველყოს შესაძლო მოკლე ვადაში ტექნიკური რეგლამენტების შემუშავებისა და სამართლებრივი რეფორმის სამთავრობო პროგრამის მომზადება და საქართველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენა.

პრემიერ-მინისტრი

ნიკა გილაური

დამტკიცებულია

საქართველოს მთავრობის

2010 წლის 16 ივლისის

N 965 განკარგულებით

სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის
შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საქართველოს
მთავრობის სტრატეგია

შესავალი

დოკუმენტის მიზანია ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების (TBT) მოსახსნელად, თანამედროვე ტექნიკური რეგულირებისა და ხარისხის ინფრასტრუქტურის სისტემის ჩამოსაყალიბებლად მყარი ბაზის შექმნა (დახვეწა), ასევე, ადამიანის ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და გარემოს დაცვა.

დოკუმენტის მიზანს ასევე წარმოადგენს, ასახოს ევროკომისიის შეხედულებები და დაკვირვებები საქართველოს მზადყოფნასთან დაკავშირებით, მიიღოს მონაწილეობა

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) მოლაპარაკებებში.

სტრატეგია წარმოადგენს:

ა) ძირითადი და სახელმძღვანელო პრინციპების ნაკრებს და ასახავს იმ გამოწვევებსა და მიზნებს, რომლებიც სახელმწიფო ინსტიტუტების წინაშე დგას ამჟამად;

ბ) ტექნიკური რეგლამენტების, შესაბამისობის შეფასების, ხარისხის ინფრასტრუქტურის, ბაზარზე ზედამხედველობისა და მეტროლოგიის სფეროებში არსებულ გამოწვევებზე პასუხებს.

სტრატეგიაში გამოყენებული ტერმინები და განმარტებები მოცემულია ტერმინთა განმარტებებში.

თავი I. ზოგადი ინფორმაცია

სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის სისტემის რეფორმის განხორციელებამდე, 2005 წელს, სამრეწველო საქონლის ბაზარზე ზედამხედველობა ხორციელდებოდა სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის – “საქსტანდარტის” მიერ. სერტიფიკაცია სავალდებულო იყო და სტანდარტები სახელმწიფოს მიერ იყო მიღებული (სახელმწიფო სტანდარტები – GOCT-ები), რომელთა მოთხოვნები ასევე სავალდებულო იყო. ტექნიკური რეგლამენტების, როგორც ადამიანის ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრების დაცვისკენ მიმართული ნორმატიული აქტების, ცალკეული და კონკრეტული განმარტებები არ არსებობდა. სტანდარტიზაცია, აკრედიტაცია და სერტიფიკაცია გაერთიანებული იყო ერთი სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციაში, რაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პრინციპების შესაბამისად წარმოადგენდა აშკარა და ბუნებრივ ინტერესთა კონფლიქტს.

უფრო ადრე, 2002 წელს, ჩამოყალიბდა შესაბამისობის შეფასების სისტემის რეფორმის განხორციელების სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებდა ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების მოხსნასა და სავალდებულო სტანდარტიზაციიდან ნებაყოფლობითზე გადასვლას. 2005 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად ის ინსტიტუტები, რომლებიც ახორციელებდნენ სტანდარტიზაციასა და სერტიფიკაციას, გაიყო და ორივე პროცედურა ნებაყოფლობითი გახდა. სავალდებულო მოთხოვნა ადამიანის ჯანმრთელობის, სიცოცხლის, საკუთრებისა და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად მოცემული უნდა იყოს ტექნიკურ რეგლამენტში და არა სტანდარტში. სტანდარტიზაცია და აკრედიტაცია ინსტიტუციონალურად განცალკევებულია და წარმოადგენილია ორი ავტონომიური სახელმწიფო სააგენტოს: სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრისა (GAC ან “აკრედიტაციის ცენტრი”) და სსიპ – საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) სახით. შესაბამისობის შეფასება საქართველოში ხორციელდება აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მიერ. აკრედიტაცია ძირითადად ხორციელდება საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით.

მოცემული დოკუმენტის შემუშავების მოსამზადებელი პროცესის ნაწილი იყო შესაბამისობის შეფასების სისტემის რეფორმის 2002 წლის სტრატეგიის ანალიზი. “საქართველოში შესაბამისობის დადასტურების სისტემის დანერგვის სტრატეგიის

დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო მინისტრის 2002 წლის N75 ბრძანების შესაბამისად, განისაზღვრა სტანდარტიზაციის, აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების სფეროს რეფორმის ის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები, რომელთა დაცვა საჭიროა რეკომენდაციების განსახორციელებლად და ეროვნული სისტემის WTOს წესებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ:

- 2002 წლის სტრატეგიის ძირითადი პრინციპები უკვე განხორციელებულია.
- საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა შესაბამისობის შეფასების, ასევე სტანდარტიზაციისა და აკრედიტაციის სფეროების განცალკევების მიმართულებით:
 - 2005 წელს განხორციელდა სტანდარტიზაციის, სერტიფიკაციისა და მეტროლოგიის ეროვნული ორგანოს – “საქსტანდარტის” რეორგანიზება ორ დამოუკიდებელ ორგანოდ: სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრად და სსიპ – საქართველოს სტანდარტიზაციის, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოდ;
 - სერტიფიკაცია გამოცხადდა ნებაყოფლობითად 2005 წელს “პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ” საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე;
 - საქართველოს კანონმა “პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ” ასევე განსაზღვრა, რომ სავალდებულო შესაბამისობის შეფასება უნდა ჩატარდეს მხოლოდ კანონის კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე;
 - შესაბამისობის შეფასებას ახორციელებენ აკრედიტებული/უფლებამოსილი ორგანოები;
 - მიღებულ იქნა ტექნიკური რეგლამენტები ტრანსპორტირებისა და საფრთხის შემცველი აღჭურვილობების სფეროებში;
 - საქართველოს მთავრობის 2006 წლის N45 დადგენილებით გამოსაყენებლად აღიარებულ და დაშვებულ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე ევროკავშირის 25 ქვეყნის, ისრაელისა და OECDის 10 ქვეყნის (ავსტრალია, კანადა, იაპონია, ისლანდია, სამხრეთ კორეა, მექსიკა, ახალი ზელანდია, აშშ, შვეიცარია, ნორვეგია) ტექნიკური რეგლამენტები, მათ შორის, ევროკავშირის ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივები;
 - სამრეწველო საქონლის ბაზარზე ზედამხედველობა ხორციელდება ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის მიერ. ამ ეტაპზე კანონმდებლობაში ჯერ კიდევ არსებობს ხარვეზები და სამრეწველო საქონლის სრული ბაზარი არ არის მოქცეული შესაბამისი ნორმატიული ბაზის ქვეშ;
 - 2010 წლის აპრილიდან საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციისა და არქიტექტურისა და მშენებლობის ინსპექციის ბაზაზე შეიქმნა ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია. ინსტიტუციონალური რეფორმის მიზანია, შექმნას

ფუნდამენტური ბაზა ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტიანი ორგანოს ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ეტაპობრივად შეიძენს საკმარის უფლებამოსილებასა და ადმინისტრაციულ რესურსს ბაზარზე სხვა პროდუქციის ეფექტიანი ზედამხედველობისთვისაც;

- o “წუნდებულ პროდუქციაზე პასუხისმგებლობის დირექტივის” (Liability for defective Products Directive) მოთხოვნები გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, ხოლო “პროდუქციის უსაფრთხოების ზოგადი დირექტივის” (General Product Safety Directive) მნიშვნელოვანი ნაწილი ასახულია „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ და “მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ” საქართველოს კანონებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა სტრატეგია.

თავი II. ტექსტში გამოყენებულ შემოკლებათა განმარტებები

BIPM	– წონისა და საზომების საერთაშორისო ბიურო
CAB	– შესაბამისობის შემფასებელი ორგანო
CASCO	– სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამისობის შეფასების ტექნიკური კომიტეტი
CEN	– ევროპის სტანდარტიზაციის კომიტეტი
CENELEC	– ევროპის ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის კომიტეტი
CIPM	– წონისა და საზომების საერთაშორისო კომიტეტი
COOMET	– ეროვნული მეტროლოგიური უწყებების ევროაზიური თანამშრომლობა
DCFTA	– ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება
EA	– აკრედიტაციის ევროპული თანამშრომლობა
EA MAC	– EAs მრავალმხრივი შეთანხმების საბჭო
EC	– ევროკომისია
EEA	– ევროპული ეკონომიკური ზონა
EMC	– ელექტრომაგნიტური თავსებადობის დირექტივა
EU	– ევროკავშირი
GAC	– სსიპ _ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი
GEOSTM	– სსიპ _ საქართველოს სტანდარტიზაციის, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
GEPLAC	– ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულევროპული საკონსულტაციო ცენტრი
GoG	– საქართველოს მთავრობა
GOST	– სახელმწიფო სავალდებულო სტანდარტი (სსრკ)
GPSD	– პროდუქციის უსაფრთხოების ზოგადი დირექტივა
GCPM	– წონისა და საზომების გენერალური კონფერენცია
IAF	– აკრედიტაციის საერთაშორისო ფორუმი
IEC	– საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია
IFC	– საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, მსოფლიო ბანკის ჯგუფი
ILAC	– საერთაშორისო ლაბორატორიის აკრედიტაციის თანამშრომლობა
ISO	– სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
LDPD	– წუნდებულ პროდუქციაზე პასუხისმგებლობის დირექტივა
LVD	– დაბალი ძაბვის დირექტივა

MoED	– საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MLA	– აკრედიტაციის საერთაშორისო ფორუმის (IAF) მრავალმხრივი აღიარების რეჟიმი
MRA	– ურთიერთაღიარების რეჟიმი
OECD	– ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
OIML	– იურიდიული მეტროლოგიის საერთაშორისო ორგანიზაცია
PCA	– პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება
RAPEX	– ინფორმაციის მყისიერი გაცვლის სისტემა
RIA	– რეგულირების ზემოქმედების შეფასება
SI	– ერთეულთა საერთაშორისო სისტემა
TA	– ტექნიკური დახმარება
TACIS	– დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ტექნიკური დახმარება
TAIEX	– ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტი
TBI	– დასადგენია
TBT	– ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში
TNT	– ვაჭრობის სატარიფო და არასატარიფო ბარიერები
VIM	– მეტროლოგიის საერთაშორისო ლექსიკონი
WTO	– მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია
WTO TBT	– მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმება ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების შესახებ.

თავი III. ტერმინთა განმარტებები

ამ განკარგულების მიზნებისათვის ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

N	ტერმინი	განმარტება
1	სერტიფიკაცია	პროცედურა, რომლის მეშვეობითაც მესამე მხარე წერილობითი ფორმით ამოწმებს, რომ პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება შეესაბამება განსაზღვრულ მოთხოვნას (ISO)
2	შესაბამისობა	პროდუქტის, პროცესის ან მომსახურების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნასთან შესაბამისობა (ISO)
3	შესაბამისობის შეფასება	ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება შესაბამისი მოთხოვნების დაცვის დადგენას. კერძოდ, შესაბამისობის შეფასება ეხება პროცესთა სხვადასხვაობას, სადაც განსაზღვრულია, რომ საქონელი ან/და მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ნებაყოფლობით ან სავალდებულო სტანდარტებს ან სპეციფიკაციას (ISO)
4	შესაბამისობის შეფასების პროცედურა	ნებისმიერი პროცედურა, რომელიც გამოიყენება ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისი მოთხოვნების ან სტანდარტების შესრულების დასადგენად (ISO)
5	ჰარმონიზებული სტანდარტები	ერთი და იმავე საგანთან დაკავშირებით სტანდარტიზაციის სხვადასხვა ორგანოს მიერ დამტკიცებული სტანდარტი, რომელიც ადგენს პროდუქციის, პროცესისა და მომსახურების ურთიერთთანაცვლებადობას ან ურთიერთგაგებას ამ სტანდარტების შესაბამისად განხორციელებული ტესტების შედეგებთან ან ინფორმაციასთან დაკავშირებით (ISO)

6	ურთიერთადიარება	შეთანხმება შესაბამისობის შეფასების შედეგების აღიარების და გამოყენების შესახებ (ISO)
7	ვაჭრობის არასატარიფო ბარიერები (NTB)	სამთავრობო შეთანხმება, იმპორტის მაღალი ტარიფის გარდა, რომელიც აფერხებს იმპორტს. ვაჭრობის არასატარიფო ბარიერის სახეობა: ექსპორტის სუბსიდირება, ვალუტის გაცვლითი კურსის მანიპულაციები, დისკრიმინაციული საბაჟო სახდელები, დროში გაჭიმული საბაჟო პროცედურები, იმპორტის მინიმალური ფასების დადგენა, არამიზანშეწონილი სტანდარტები და ინსპექტირების პროცედურები, იმპორტის ლიცენზირება
8	სტანდარტი	დოკუმენტი, შემუშავებული კონსენსუსის საფუძველზე და დამტკიცებული აღიარებული ორგანოს მიერ, რომელიც საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებისათვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს ან მახასიათებლებს სხვადასხვა სახის საქმიანობისა თუ მისი შედეგებისათვის და რომლის მიზანია გარკვეულ სფეროში ოპტიმალური მოწესრიგების მიღწევა (ISO)
9	სტანდარტიზაცია	ტექნიკური სტანდარტის შეთანხმების პროცესი (ISO)
10	შეთანხმება ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების შესახებ	საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს, რომ: 1. პროდუქციის სავალდებულო რეგულირება; 2. პროდუქციის ნებაყოფლობითი სტანდარტები და 3. შესაბამისობის შეფასების პროცედურები (პროცედურები, რომლებიც ითვალისწინებს პროდუქციის ტესტირებას მათი სავალდებულო რეგლამენტებთან ან ნებაყოფლობით სტანდარტთან შესაბამისობის დასადგენად) არ გახდეს უსარგებლო წინააღმდეგობა საერთაშორისო ვაჭრობისათვის და არ მოხდეს მათი გამოყენება ვაჭრობის შესაფერხებლად (UNCTAD)
11	ტექნიკური ბარიერი ვაჭრობაში (TBT)	ეროვნული მარეგულირებელი პროცედურა, რომელიც იცავს ადგილობრივ მწარმოებლებს (WTO)
12	ტექნიკური რეგლამენტი	დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს პროდუქციის მახასიათებლებს ან მასთან დაკავშირებულ პროცესებს და წარმოების მეთოდებს, შესაბამისი ადმინისტრაციული მოთხოვნების ჩათვლით, რომელთა დაცვა სავალდებულოა. ის ასევე შეიძლება ექსკლუზიურად მოიცავდეს ან განსაზღვრავდეს ტერმინოლოგიას, სიმბოლოებს, შეფუთვის, მარკირების და ეტიკეტების მოთხოვნებს, რომლებიც ვრცელდება პროდუქტზე, პროცესზე ან წარმოების მეთოდზე (WTO)
13	ტესტი/გამოცდა	ტექნიკური ოპერაცია, რომელიც მოიცავს მოცემული პროდუქტის, პროცესის ან მომსახურების ერთი ან რამდენიმე მახასიათებლის დადგენის პროცესს კონკრეტული პროცედურის შესაბამისად (ISO).

თავი IV. მოკლე შინაარსი

სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს TBTს გაუქმებისათვის მტკიცე საფუძვლის შექმნა, ტექნიკური რეგლამენტებისა და ხარისხის ინფრასტრუქტურის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება, ასევე ადამიანთა ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და გარემოს დაცვისათვის შესაბამისი დონის

უზრუნველყოფა. ის აგრეთვე ასახავს ევროკომისიის მოსაზრებებს და დაკვირვებებს საქართველოს მზადყოფნასთან დაკავშირებით, აწარმოოს მოლაპარაკებები ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში.

ევროკომისიის გენერალურმა დირექტორატმა წარმოადგინა რეკომენდაციები ევროკავშირის DCFTA-ის თაობაზე სამომავლო მოლაპარაკებების გამართვის შესახებ, თუმცა ევროკომისიამ სრული სტრატეგიის დოკუმენტის წარმოდგენა მოითხოვა. მოგვიანებით საქართველოს მთავრობამ საწყის ეტაპზე არჩია სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროს სტრატეგიის (შემდგომში – სტრატეგია) სახელმძღვანელო დოკუმენტად გამოყენება, რაც მიზნად ისახავს მასში მოცემული პრიორიტეტების ეფექტიანად და სრულყოფილად შესრულებას.

სტრატეგია მოიცავს ხუთ ძირითად და ცამეტ სახელმძღვანელო პრინციპს. დოკუმენტში ასევე მოცემულია შემდეგ კატეგორიებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპები, გამოწვევები, მიზნები, მეთოდები და სტატუსი:

- **ტექნიკური რეგულირება** – განსაზღვრულია ტექნიკური რეგულირების პროცედურული საკითხები საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად; გათვალისწინებულია კანონმდებლობის მიღება, რომლის მიხედვითაც დადგინდება ტექნიკური რეგლამენტების განსაზღვრებები, გავრცელების სფერო და სამართლებრივი ძალა; ტექნიკური რეგლამენტების შექმნაზე პასუხისმგებელი კომპეტენტური სამთავრობო სტრუქტურისადმი უფლებამოსილების მინიჭება; სხვა სახელმწიფოების ტექნიკური რეგლამენტების (ცალმხრივად) ცნობის პროცედურების შექმნა.

- **ხარისხის ინფრასტრუქტურა** – მოცემულია ხედვა და ის ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ხარისხის ინფრასტრუქტურის ორგანოების ინსტიტუციონალურ გაძლიერებას, რაც შესაძლებელია შესაბამისი სექტორული კომიტეტების შექმნის გზით.

- **საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინტეგრაცია** – მოიცავს ძირითად გასატარებელ ღონისძიებებს, რათა მოხდეს საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურის სისტემის საერთაშორისოდ ცნობა. შესაბამისობის შეფასების სისტემებისა და GAC-ისა და GEOSTM-ის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინტეგრირება.

- **ბაზარზე ზედამხედველობა** – აყალიბებს იმ პრინციპებს, რომელთაც უნდა ეფუძნებოდეს ბაზარზე ზედამხედველობის სისტემა და განსაზღვრავს, რომ საკითხი დეტალურად უნდა იქნეს გაწერილი ბაზარზე ზედამხედველობის სამთავრობო სტრატეგიაში.

- **„ჰორიზონტული“ დირექტივების, პროდუქციის უსაფრთხოების ზოგადი დირექტივისა და წუნდებულ პროდუქციაზე პასუხისმგებლობის დირექტივის, მოთხოვნების შემოღება** – აღწერს, თუ როგორ უნდა აისახოს დირექტივების მოთხოვნები ეროვნულ კანონმდებლობაში.

- **ახალი და გლობალური მიდგომების დირექტივების შემოღება პრიორიტეტული სამრეწველო სექტორებისთვის** – აღწერს, თუ როგორ უნდა მოხდეს დირექტივის შემოღება ეროვნულ კანონმდებლობაში.

- **შესაბამისობის შეფასების ინფრასტრუქტურა** – განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს შესაბამისობის შეფასების სისტემის შექმნა და საერთაშორისო სტანდარტებსა და პროცედურებთან მათი შესაბამისობაში მოყვანა.

- **სტანდარტიზაცია** – განსაზღვრავს სტანდარტიზაციის პრინციპებს და უზრუნველყოფს ამ სტანდარტების ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

- **მეტროლოგია** – განსაზღვრავს გაზომვების მიკვლევადობის უზრუნველყოფის პრინციპებს და ადგენს სამართლებრივი მეტროლოგიის მოქმედების სფეროს და საზღვრებს.

თავი V. ძირითადი პრინციპები

- ღია საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი ვაჭრობის უზრუნველყოფა.
- პროდუქციის მაღალი ხელმისაწვდომობა მინიმალური რისკით.
- სიმეტრიული და არადისკრიმინაციული პირობები ერთი და იმავე ხარისხის პროდუქტებისათვის ბაზარზე განსათავსებლად.
- საერთაშორისო სტანდარტების სისტემური უპირატესობა.
- არავითარი ტექნიკური ბარიერი სხვა ქვეყანაში წარმოებული პროდუქციისთვის, სადაც განვითარებულია უსაფრთხოებისა და ხარისხის ინფრასტრუქტურა (ევროკავშირისა და OECD-ის ქვეყნები), ასევე, არავითარი დამატებითი შესაბამისობის შეფასების მოთხოვნები მათი ქართულ ბაზარზე განთავსებისთვის.

თავი VI. სახელმძღვანელო პრინციპები

- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ყველა სავალდებულო მოთხოვნა დადგენილ უნდა იქნეს ტექნიკური რეგლამენტით ან კანონით.
- ტექნიკური რეგლამენტები მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ საქართველოს კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან საქართველოს მთავრობის დადგენილების სახით.
- სტანდარტები ნებაყოფლობითია და შემუშავებულია სახელმწიფოს ან/და ნებისმიერი დაინტერესებული მხარის, მათ შორის, კერძო მხარის მონაწილეობით.
- საქართველო თავს შეიკავებს ეროვნული სტანდარტების შემოღებისგან იმ სფეროებში, სადაც არსებობს შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები.
- საქართველო საერთაშორისო სტანდარტებს მიიღებს, როგორც ეროვნულ სტანდარტებს.
- პროდუქციის ბაზარზე განთავსებამდე ტესტირებისათვის მესამე მხარის სერტიფიკაციის მოთხოვნის არასავალდებულო ხასიათი.
- ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო არ აწარმოებს შესაბამისობის შეფასებას.

- რეგულირებულ სფეროებში შესაბამისობის შეფასება განხორციელდება ტექნიკურად კომპეტენტური ორგანოების მიერ.
- მწარმოებლებს შეუძლიათ გამოიყენონ შესაბამისობის შეფასების საერთაშორისოდ მიღებული ფორმები, მათ შორის, რეგლამენტების პირობების დაკმაყოფილების თვითდეკლარირების ჩათვლით და/ან შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტებში მოცემული სტანდარტების შესაბამისად.
- განვითარებული უსაფრთხოებისა და ხარისხის ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნებში (მაგალითად, ევროკავშირი, OECD) აკრედიტებული/ავტორიზებული მწარმოებლების/ მომწოდებლების/შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მიერ გაცემული შედეგების/დოკუმენტების აღიარება.
- არ უნდა მოითხოვებოდეს დამატებითი შესაბამისობის შეფასება იმ პროდუქციაზე, რომელზეც მოცემულია განვითარებული უსაფრთხოებისა და ხარისხის ინფრასტრუქტურის სისტემების აღნიშვნები (მაგალითად, CE).
- მესამე პირთა შესაბამისობის შეფასების ორგანოების/სააგენტოების სისტემური ინსტიტუციონალური მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა.
- შეძლებისდაგვარად კერძოსაჯაროპარტნიორობის მოდელების ხელშეწყობა ბაზარზე ზედამხედველობის და სხვა სფეროებში (მაგალითად, ხარისხის ინფრასტრუქტურის).

თავი VII. ტექნიკური რეგულირება

სახელმძღვანელო პრინციპები:

- ტექნიკური რეგლამენტები განსხვავდება სტანდარტებისგან.
- სტანდარტები არის ნებაყოფლობითი და შექმნილია სახელმწიფო, კომპეტენტური ორგანოების და სხვა დაინტერესებული მხარის, მათ შორის, კერძო მხარის მონაწილეობით.
- აღიარებული ტექნიკური რეგლამენტები გარდაიქმნება ეროვნული კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილად.
- ტექნიკურ რეგლამენტებს შორის რაიმე განსხვავება არ ჩაითვლება შეუსაბამობად, არამედ ორივე აქტი იქნება თანაბრად აღსრულებადი.
- არსებული შეუსაბამობები ეროვნულ და აღიარებულ ტექნიკურ რეგლამენტებს შორის პრაქტიკაში გამოყენებული უნდა იქნეს ისე, რომ ამან არ იმოქმედოს TBTების გაზრდაზე.
- კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების მკაფიო პროცედურებს და მათ ხელმისაწვდომობას.

გამოწვევები:

- კანონმდებლობაში სტანდარტების სისტემისა და ტექნიკური რეგლამენტების სფეროში დეფინიციების არსებული ვაკუუმი.

- ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცებისათვის მკაფიო პროცედურების არარსებობა.
- ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის (მაგალითად, რუმინეთი და ბულგარეთი) ტექნიკური რეგლამენტები არ არის აღიარებული.
- შესაძლო კოლიზია ეროვნული და აღიარებული ტექნიკური რეგლამენტების გამოყენების შემთხვევაში.
- ტექნიკური რეგლამენტების არსებობა სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში.

მიზნები:

- WTO TBTის 6.1 პუნქტის მიხედვით ევროკავშირის 25ვე ქვეყნის, ისრაელისა და OECD 10ვე სახელმწიფოს (ავსტრალია, კანადა, იაპონია, ისლანდია, სამხრეთ კორეა, მექსიკა, ახალი ზელანდია, აშშ, შვეიცარია, ნორვეგია) ტექნიკური რეგლამენტების დოკუმენტების ცალმხრივი აღიარება იმ სფეროებში, რომლებიც რეგულირებულია საქართველოს კანონმდებლობით (“მე3 და მე4 პუნქტების დებულებების გათვალისწინებით, წევრებმა შეძლებისდაგვარად უნდა უზრუნველყონ, რომ შესაბამისობის შეფასების პროცედურების შედეგები მიღებული იყოს სხვა წევრების მიერ, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის პროცედურები განსხვავდებიან მათივე პროცედურებისაგან, იმ პირობით, რომ ის პროცედურები სთავაზობენ შესაბამისობის გარანტიას შესაბამისი ტექნიკური რეგულირებებისა ან მათი პროცედურების ეკვივალენტური სტანდარტების შესაბამისად.”).
- კანონმდებლობის დახვეწა საუკეთესო პრაქტიკისა და შესაბამისი ქვეპროგრამის შემუშავების გზით.
- ტექნიკური რეგლამენტების მიღებისათვის მკაფიო პროცედურების შემუშავება.

მეთოდები:

- საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული ტექნიკური რეგლამენტების პროცედურული საკითხების მოწესრიგება და იმგვარი კანონმდებლობის შექმნა, რომელიც განსაზღვრავს ტექნიკური რეგლამენტების დანიშნულებას, გავრცელების სფეროსა და იურიდიულ ძალას; ტექნიკური რეგლამენტების მიღების/შემუშავების ფუნქციის მინიჭება კომპეტენტური სამთავრობო ორგანოსათვის; სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების ცალმხრივად ცნობის პროცედურების განსაზღვრა და ინკორპორირება ადგილობრივ კანონმდებლობაში; მკაფიო სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, რათა თავიდან იქნეს აცილებული/გადაიჭრას შეუსაბამობა ადგილობრივი და აღიარებული ტექნიკური რეგლამენტების გამოყენების პირობებში.
- დაინტერესებულ მხარეს უნდა გააჩნდეს უფლება, მიმართოს სასამართლოს იმ ტექნიკური რეგლამენტებისა თუ სტანდარტების წინააღმდეგ, რომლებიც არ შეესაბამებიან საერთაშორისოდ დადგენილ საუკეთესო პრაქტიკას.
- “პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში” (სათაურის სამუშაო ვარიანტი) ტექნიკური რეგლამენტების შესახებ შესაბამისი თავის

შემუშავება, რომელშიც განისაზღვრება ტექნიკური რეგლამენტის მიღების მკაფიო პრეცედურები.

სტატუსი:

• ევროკავშირის 25 ქვეყნის, ისრაელისა და OECD-ის 10 სახელმწიფოს (ავსტრალია, კანადა, იაპონია, ისლანდია, სამხრეთ კორეა, მექსიკა, ახალი ზელანდია, აშშ, შვეიცარია, ნორვეგია) ტექნიკური რეგლამენტები აღიარებულია (WTO TBT შეთანხმების 2.7 და 6.1. მუხლების შესაბამისად, “2.7 წევრებმა პოზიტიურად უნდა განიხილონ სხვა წევრი ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტები როგორც ეკვივალენტური, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის რეგლამენტები განსხვავდებიან საკუთარისაგან, იმ პირობით, რომ ის რეგლამენტები ადეკვატურად აკმაყოფილებენ საკუთარი რეგლამენტების მიზნებს.”).

• ტექნიკური რეგლამენტების შესახებ “პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის” შესაბამისი თავი შემუშავდება ზემოთ მოცემული პრინციპების დაცვით.

• კანონმდებლობის დაახლოების ზოგადი ქვეპროგრამა შემუშავებული იქნება სამთავრობო პროგრამის ფარგლებში.

• ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების შემოღების ქვეპროგრამა შემუშავდა შესაბამისი ახალი მიდგომისა და გლობალური მიდგომის დირექტივების პრიორიტეტულობასა და დაჯგუფების პრინციპებზე დაყრდნობით. შედეგად, ეროვნულ კანონმდებლობაში შემოსაღებად იდენტიფიცირებულია დირექტივების ხუთი ქვეჯგუფი. აქედან ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების ინკორპორირების ქვეპროგრამის პირველი ჯგუფისთვის ვადები უკვე დადგენილია.

თავი VIII. ხარისხის ინფრასტრუქტურა

სახელმძღვანელო პრინციპები:

• აკრედიტაცია ხორციელდება GAC-ის მიერ, რომელიც წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების ორგანოების აკრედიტაციაზე პასუხისმგებელ სსიპ _ ეროვნული აკრედიტაციის სააგენტოს.

• GAC ასრულებს აკრედიტაციას საერთაშორისო და ევროკავშირის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, როგორც რეგულირებულ, ისე ნებაყოფლობით სფეროში. აკრედიტაციის პროცესი ეფუძნება ექსპერტთა შეფასების პრინციპებს.

• GEOSTM წარმოადგენს ეროვნული სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ეროვნულ ორგანოს და, შესაბამისად, პასუხისმგებელია სტანდარტიზაციასა და მეტროლოგიაზე.

• GEOSTM-ის სტრუქტურულ ერთეულებში პასუხისმგებელი არიან:

ა) სახელმწიფო გაზომვების სტანდარტებისა და სტანდარტული მასალების შენახვაზე, დაკანონებული გამზომი საშუალებების ტიპების რეესტრის წარმოებაზე;

ბ) სტანდარტების შემუშავებაზე, მიღებასა და რეგისტრაციაზე, სტანდარტების რეესტრისა და ტექნიკური რეგლამენტების შენახვაზე.

- ორივე დაწესებულება იმყოფება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო კონტროლის ქვეშ.

- ორივე დაწესებულება – GAC და GEOSTM – სარგებლობს ინსტიტუციონალური ავტონომიით.

გამოწვევები:

- GACისა და GEOSTMის ინტეგრირება საერთაშორისო ორგანიზაციებში.
- გაზომვების ეროვნული სტანდარტების ბაზის (ეტალონები) სიმცირე და მათი მოვლისა და შენახვისათვის საჭირო პირობების არარსებობა.
- GACისა და GEOSTMის ინსტიტუციონალური მიუკერძოებლობის უკმარისობა.
- საქართველოს შესაბამისობის შეფასების სისტემის საერთაშორისო აღიარება.
- საქართველოს შესაბამისობის შეფასების ორგანოების მიერ გაცემული შესაბამისობის შეფასების დოკუმენტები არ არის აღიარებული საერთაშორისო დონეზე.
- შეზღუდული ადამიანური რესურსები.
- მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ყველა აუცილებელი სექტორული კომიტეტის შექმნა სტანდარტიზაციისა და აკრედიტაციის სფეროში.

მიზნები:

- GACისა და GEOSTMის ინსტიტუციონალური მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა სტანდარტიზაციისა და აკრედიტაციის სექტორული კომიტეტების მეშვეობით.
- ინსტიტუციონალური და ადამიანური რესურსების გაზრდა ტრენინგისა და ტექნიკური დახმარების გზით და ა.შ.
- საქართველოს შესაბამისობის შეფასების სისტემის საერთაშორისო აღიარება და GACისა და GEOSTMის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინტეგრირება.
- კომპეტენციების და მოქმედების ფარგლების განმარტებების ნათლად ჩამოყალიბება.
- სექტორული კომიტეტების შექმნის საჭიროებისამებრ უზრუნველყოფა.
- რეგულირებულ სფეროებში შესაბამისობის შეფასების შემსრულებელი ორგანოების ტექნიკური კომპეტენტურობის უზრუნველყოფა.

მეთოდები:

- შესაბამისობის შეფასების შესახებ “პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის” შესაბამისი თავის პროექტის მომზადება, რათა გაძლიერდეს GACისა და GEOSTMის ინსტიტუციონალური შესაძლებლობა და მიუკერძოებლობა და განიმარტოს ორივე დაწესებულების მოქმედების სფეროები და კომპეტენციები.

- გაზომვების ეროვნული სტანდარტების (ეტალონები) ბაზის და მათი მოვლისა და შენახვისათვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

- “ხარისხის საბჭოს” შექმნა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ხარისხის ინფრასტრუქტურის პრიორიტეტების განსაზღვრა და მათ გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების შემუშავება.

- სტანდარტიზაციის კომიტეტების სამუშაო პროცესში კერძო სექტორის, ბიზნესასოციაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის და ჩართულობის უზრუნველყოფა.

- საქართველოს შესაბამისობის შეფასების სისტემისა და საქართველოს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტების საერთაშორისო აღიარების მიმართულებით შესაბამისი ზომების მიღება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მეტროლოგიური მიკვლევადობის შესაძლებლობა და თანმიმდევრული ინტეგრაცია EAში.

- ყველა აუცილებელი სექტორული კომიტეტის შექმნა სტანდარტიზაციისა და აკრედიტაციის სფეროში.

სტატუსი:

- შესაბამისობის შეფასების თაობაზე “პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის” შესაბამისი თავის პროექტი მომზადებულია. იგი ჩაანაცვლებს მოქმედ კანონს “პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ” და განმარტავს შესაბამისობის შეფასების ყველა ფორმასა და პროცედურას, ასევე შესაბამის მოდულებს.

- კანონის საფუძველზე შეიქმნება აკრედიტაციის მუდმივი საბჭო, რომელიც პარტეტულად შედგება საქართველოს მთავრობის, აკრედიტაციის ცენტრის, მწარმოებლების, შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან და პასუხისმგებელი იქნება აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების სფეროს პოლიტიკის საკითხებში რჩევების შემუშავებაზე, ასევე უზრუნველყოფს აკრედიტაციის ცენტრის მიუკერძოებლობის შესაბამის დონეზე დაცვას, ცენტრის საქმიანობის მონიტორინგს.

- საქართველოს მთავრობამ 2009 წლის 18 სექტემბერს მიიღო N170 დადგენილება, რომელშიც მოცემულია შეტყობინების წესები სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების, შესაბამისობის შეფასების პროცედურებისა და მათი პროექტების თაობაზე, რათა გაუმჯობესდეს ტექნიკური რეგლამენტების შეტყობინებების პროცესი. აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, ტექნიკური რეგლამენტების ყველა პროექტი უნდა წარედგინოს WTO TBTის მოკვლევის ეროვნულ საინფორმაციო ცენტრს ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის გასაანალიზებლად, ხოლო შეუსაბამობის შემთხვევაში და მათ მიღებამდე, შეტანილ უნდა იქნეს საჭირო კორექტირებები, ან წარმოდგენილ უნდა იქნეს ახსნაგანმარტება და არგუმენტაცია მოცემული განსხვავებებისათვის. 2009 წელს ეროვნულმა საინფორმაციო ცენტრმა WTOის სამდივნოს გაუგზავნა 40ზე მეტი შეტყობინება.

- სტანდარტიზაციის სფეროში სექტორული კომიტეტების შექმნის პროცესი დაწყებულია. “ხარისხისა და შესაბამისობის შეფასების” ტექნიკური კომიტეტი და “ელექტროტექნიკის კომიტეტის” ეროვნული კომიტეტი შეიქმნა 2009 წელს.

- 2009 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროში საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებით შეიქმნა ხარისხის ეროვნული საბჭო.

თავი IX. საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინტეგრაცია

სახელმძღვანელო პრინციპები:

- ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების ფუნქციონირება საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.
- ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის განვითარებისადმი ნდობის ამაღლება საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებში ინტეგრირების გზით.
- EAs წევრებს შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიაზე აწარმოონ აკრედიტაციის საქმიანობა EAs პირობების შესაბამისად.

გამოწვევები:

- GACის ჩართულობა შესაბამისი საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების ტექნიკური კომიტეტებისა და სხვა სტრუქტურული ორგანოების საქმიანობაში.
- აკრედიტაციის ინსტრუმენტის გამოყენება ევროპული და საერთაშორისო წესების შესაბამისად.
- GACის ინსტიტუციონალური მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა.
- GEOSTMის ჩართულობა სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში არსებული საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების შესაბამისი კომიტეტების და სხვა სტრუქტურული ორგანოების საქმიანობაში.
- შესაბამისობის შეფასებისა და ბაზარზე ზედამხედველობის ინსტიტუციონალური სისტემები (პროდუქციის უსაფრთხოების რეგლამენტების აღსრულება) არ არის სათანადოდ განვითარებული და, შედეგად, შეზღუდულია მათი შესაძლებლობა საქართველოში მომხმარებელთა დაცვის ადეკვატური დონის უზრუნველყოფის კუთხით.
- საქართველოს მიერ გაცემული შესაბამისობის შეფასების დოკუმენტები არ არის აღიარებული საერთაშორისო დონეზე, რაც აფერხებს საქართველოს ექსპორტს, მათ შორის, ევროკავშირში.
- ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, შესაბამისობის შეფასების და ბაზარზე ზედამხედველობის საკითხებში ეროვნული ინსტიტუციონალური სისტემების ჩამოყალიბებაში პროგრესის მიღწევა.

მიზნები:

- აკრედიტაციის საერთაშორისო ორგანიზაციასა (ILAC) და ევროპის აკრედიტაციისათვის თანამშრომლობასთან (EA) ურთიერთობის გაღრმავება.

- IECის რეკომენდაციის საფუძველზე ეროვნული ტექნიკური კომიტეტის შექმნა.
- საქართველოში გაცემული შესაბამისობის შეფასების შედეგების აღიარების დონის ზრდა საერთაშორისო მასშტაბით.
- OIML-თან თანამშრომლობა.
- IEC-სა და CENELEC-თან თანამშრომლობა.

მეთოდები:

- EA-სა და ILAC-ის სამუშაო საქმიანობაში შემდგომი მონაწილეობა, რაც მიზნად უნდა ისახავდეს ამ ორგანიზაციებში სრულყოფილებიან წევრობას.
- აკრედიტაციის ტექნიკური კომიტეტების შექმნა საერთაშორისო და ევროპაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად.
- GAC-ს არ უნდა გააჩნდეს სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბერკეტი, რომ მიიღოს საერთაშორისო სტანდარტებისაგან განსხვავებული ახალი წესები, სახელმძღვანელო პრინციპები იმ სფეროებში, რომლებიც რეგულირებულია შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტებით.
- უზრუნველყოფილ იქნეს GAC-ის ინსტიტუციონალური მიუკერძოებლობა და ღიაობა აკრედიტაციის საბჭოში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვით. ეს საბჭო პასუხისმგებელი იქნება აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების სფეროს პოლიტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაწევაზე, აკრედიტაციის ცენტრისთვის მიუკერძოებლობის აუცილებელი დონის უზრუნველყოფის ხელშეწყობასა და მისი საქმიანობის მონიტორინგზე.

სტატუსი:

- GEOSTM არის ISO-ს წევრკორესპონდენტი 2007 წლიდან, CEN-ის აფილირებული წევრი 2009 წლიდან და CENELEC-ის აფილირებული წევრი 2010 წლიდან.
- GEOSTM ასევე არის GCPM-ის (წონისა და გაზომვების გენერალური კონფერენცია) ასოცირებული წევრი 2008 წლიდან და შეუერთდა წონისა და გაზომვათა საერთაშორისო კომიტეტის ეროვნული მეტროლოგიის ინსტიტუტების (CIPM MRA) მიერ გაცემული გაზომვათა ეროვნული სტანდარტების, დაკალიბრებისა და გაზომვების სერტიფიკატების ცნობის შესახებ შეთანხმებას.
- GEOSTM არის ევრაზიის ეროვნული მეტროლოგიის ინსტიტუტების (COOMET) სრულყოფილებიანი წევრი.
- 2010 წლის 19 თებერვლიდან GEOSTM არის IEC-ის ასოცირებული წევრი. IEC-ში გაწევრიანება წარმოადგენდა CENELEC-ში გაწევრიანების წინაპირობას.
- 2003 წლის 24 ნოემბერს GEOSTM-მა მიიღო “კარგი პრაქტიკის კოდექსი”.
- GAC არის ILAC-ის აფილირებული წევრი 2006 წლიდან.
- GAC-ის ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაციის ცვლილება მიმდინარეობს ISO 17011 სტანდარტის, EA, ILAC და IAF სახელმძღვანელოს შესაბამისად.

- GACის მიერ 2009 წლის მაისში EAs მრავალმხრივი შეთანხმების საბჭოში (MAC) შეტანილი განაცხადის განხილვის შედეგად, GACსა და EAs შორის თანამშრომლობის კონტრაქტი გაფორმდა 2009 წლის ნოემბერში.

თავი X. ბაზარზე ზედამხედველობა

სახელმძღვანელო პრინციპები:

- შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს ჩამოყალიბება და/ან განსაზღვრა და მასზე უფლებამოსილების დელეგირება, რათა განხორციელდეს პროდუქციის მონიტორინგი ზოგადი უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად.

- ბაზარზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების/ორგანოს ინსტიტუციონალური ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

- ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები და ინსტიტუტების სტრუქტურები განვითარებულია და შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

- ბაზარზე ზედამხედველობა განხორციელდება: ა) დოკუმენტური კონტროლის და მოგვიანებით; ბ) ბაზარზე განთავსებული პროდუქციის კონტროლის მეშვეობით.

- ბაზარზე ზედამხედველობის სისტემა უზრუნველყოფს ბაზრის ეტაპობრივ დაფარვას შერჩეული სექტორებისა და პროდუქციის ჯგუფების მიხედვით: პირველ ეტაპზე განხორციელდება ბაზარზე რეაქტიული ზედამხედველობა, მეორე ეტაპზე – პროაქტიული ზედამხედველობა.

- ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოები აკრედიტებული იქნებიან ISO/IEC/17020 სტანდარტის შესაბამისად.

- ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოები თავისუფალია კორუფციისგან.

- ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოებს არ ექნებათ უფლება, შემოიღონ ახალი წესები ან გაამკაცრონ TBT გადამეტებული რეგულირების ან პროცედურების შემოღებით მწარმოებლების, იმპორტიორების ან ექსპორტიორების მიმართ.

- ბაზარზე ზედამხედველობის ზომები შეეხება იმ პროდუქციას, რომელიც განთავსდება ბაზარზე მისი მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ტექნიკური რეგლამენტების მიღების შემდგომ (ე.წ. რეგულირებული სფეროები).

- რისკზე დაფუძნებული ინსპექტირება შეეხება იმ პროდუქციის ჯგუფებს/სექტორებს, რომელთა არჩევაც მოხდება ეტაპობრივი მიდგომით.

- ბაზარზე ზედამხედველობის პროცესში შეძლებისდაგვარად მოხდეს საჯაროკერძოპარტნიორობის მოდელების გამოყენება.

- ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევისათვის შესაბამისი დაჯარიმების წესის შემოღება. ჯარიმები უნდა იყოს ეფექტიანი, პროპორციული და აღმკვეთი ხასიათის.

- სფეროები, სადაც არ არის შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტები, ზედამხედველობის მიზნებისთვის გამოიყენება პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოებისა და წუნდებული პროდუქციის პასუხისმგებლობის მოთხოვნები.

- ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელებისას გამოიყენება ISO/IEC “სახელმძღვანელო 67”.

გამოწვევები:

- დასახვეწია ბაზარზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების ინსტიტუციონალური ფორმები და უფლებამოსილების დელეგირება.
- ბაზარზე განთავსებული ყველა სათანადო კატეგორიის პროდუქციისათვის არ არსებობს ბაზარზე შესაბამისი ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოები.
- ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელების პროცედურები და ინსტიტუტების სტრუქტურა არ არის სათანადოდ განვითარებული და არ შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.
- არსებობს კორუფციის, ოფიციალური უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და სამუშაოს არასათანადოდ შესრულების უმნიშვნელო რისკი.
- არსებობს TBT-ის გაზრდის რისკი, მწარმოებლების, იმპორტიორებისა და ექსპორტიორებისათვის გადამეტებული რეგლამენტების ან პროცედურების შემოღების გზით.

მიზნები:

- ბაზარზე ზედამხედველობა უნდა ეფუძნებოდეს WTO-ს პრინციპებს. კომპეტენტურ ორგანოებს უნდა გააჩნდეთ უფლებამოსილება, სერიოზული რისკის შემცველ პროდუქციასთან დაკავშირებით მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა გარანტირებული იყოს მომხმარებელთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.
- მეტად განვითარდეს კანონმდებლობა მომეტებული საფრთხის შემცველ ტექნიკადანადგარებსა და საქმიანობასთან დაკავშირებით.
- შეიქმნას სათანადო სამართლებრივი ბაზა და სისტემა ბაზარზე მესამე მხარის მიერ ინსპექტირების მიზნით.
- მიღებულ იქნეს, განვითარდეს და განხორციელდეს რისკზე დაფუძნებული ბაზარზე ზედამხედველობის მექანიზმი.

მეთოდები:

- ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის ორგანიზება განხორციელდება WTO-ს პრინციპების საფუძველზე, მათ შორის, “პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი გადაადგილების კოდექსის” მიღებით; განისაზღვრება საფრთხის შემცველი ტექნიკადანადგარები და საქმიანობა; შეიქმნება ადეკვატური სისტემა სახელმწიფო კონტროლისა და მესამე პირთა მიერ ინსპექტირების წარმოებისათვის.
- შერჩეული სექტორების, პროდუქციისა და მეთოდების ჯგუფების ბაზარზე ზედამხედველობის ეტაპობრივად განხორციელება:
 - ა) პირველი ეტაპი – რეაქტიული ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელება;
 - ბ) მეორე ეტაპი – პროაქტიული ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელება.
- პროექტის შედეგად, 2011 წლის ბოლოსთვის უნდა შემუშავდეს საქართველოსთვის მისაღები ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგია, ჩატარდეს

აუცილებელი ინსტიტუციონალური რესტრუქტურისა და EUS მოთხოვნებისა და საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე. ამავე პროექტის ფარგლებში, მესამე ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქციის შესაბამისობის შეფასება უნდა განხორციელდეს “მესამე ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქციის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების თაობაზე” ევროსაბჭოს 339/93ის რეგულაციის საფუძველზე.

- საქართველო მოითხოვს ტექნიკურ დახმარებას რიგ სფეროებში.

სტატუსი:

- კანონი “საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ” შეიცვალა კანონით „ტექნიკური საფრთხის შესახებ“, რომელიც გახდება “პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის” ნაწილი.

- “პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი” შემუშავების პროცესშია და მასში კლასიფიცირებულია საფრთხის რისკები, ჩამოყალიბებულია საფრთხის შემცველი ტექნიკადანადგარების კრიტერიუმები და შემოღებულია შესაბამისი სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები და პროცედურები.

თავი XI. პროდუქციის უსაფრთხოების ზოგადი დირექტივისა და წუნდებულ პროდუქციაზე პასუხისმგებლობის დირექტივის მოთხოვნების შემოღება

პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივის (შემდგომში – GPSD) და წუნდებულ პროდუქციაზე პასუხისმგებლობის დირექტივის (შემდგომში – LDPD) მოთხოვნები მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს პროდუქციასთან დაკავშირებული ადგილობრივი კანონმდებლობა.

საქართველოს კანონმდებლობა კიდევ უფრო დაუახლოვდება „ჰორიზონტულ“ კანონმდებლობას (GPSD; LDPD), რაც აისახება “პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში” 2010 წლის ბოლოსთვის.

პროდუქციის უსაფრთხოების ზოგადი დირექტივა

სახელმძღვანელოები:

- საქართველოს კანონმდებლობაში GPSD-ის მოთხოვნების ინკორპორირება.
- დირექტივა 2001/95/CE1 პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების თაობაზე აწესებს მყისიერი ინფორმაციის სისტემას (RAPEX), რათა მოხდეს ინფორმაციის სწრაფი გაცვლა იმ სამომხმარებლო პროდუქციასთან მიმართებაში, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მომხმარებლების ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას. GPSD-ის მე-11 მუხლის შესაბამისად, შეტყობინების პროცედურა მიზნად ისახავს ინფორმაციის გაცვლას ზომებსა და ქმედებებზე იმ სამომხმარებლო პროდუქციასთან დაკავშირებით, რომლებიც არ უქმნის სერიოზულ საფრთხეს მომხმარებელთა ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას.

- საქართველოს ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოები უნდა განისაზღვროს და ჩაერთოს RAPEX-ში იმ დროს და იმგვარად, როგორც განისაზღვრება

ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგიით (სტრატეგია უნდა შემუშავდეს 2011 წლის ბოლოსათვის).

გამოწვევები:

- როგორც სამართლებრივმა ანალიზმა აჩვენა, GPSD-ის მოთხოვნები ნაწილობრივ ასახულია საქართველოს კანონში.
- შესაბამისი სამთავრობო ორგანოს განსაზღვრა ბაზარზე ზედამხედველობის განსახორციელებლად GPSD-ის შესაბამისად და ამისათვის სათანადო სამართლებრივი ბაზის შექმნა.

მიზნები:

- GPSD-ის მოთხოვნების სრულად გათვალისწინება საქართველოს კანონმდებლობაში სამართლებრივი საქმიანობის ქვეპროგრამის შესაბამისად.
- ეროვნული სისტემის შექმნა, რომელიც ინტეგრირებული იქნება RAPEX-ის სისტემასთან იმ დროს და ისე, როგორც განისაზღვრება ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგიით.

მეთოდები:

- კანონი “მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ” უნდა იქცეს “პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის” ნაწილად და შეესაბამებოდეს პროდუქციის უსაფრთხოების ზოგად დირექტივას ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მიზნით.
- ევროკავშირის პროდუქციის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები სრულად აისახება საქართველოს კანონმდებლობაში. მომავალში ქმედებები მიმართული იქნება კონკრეტულ სფეროებში უსაფრთხოების მოთხოვნების უზრუნველყოფისაკენ.
- RAPEX-ის სისტემის ეტაპობრივი იმპლემენტაცია, რომელიც ეფუძნება საზოგადოების სწრაფი ინფორმაციის მართვის სისტემას (RAPEX) და დირექტივა 2001/95/EC მე-11 მუხლში მოცემული შეტყობინებების სახელმძღვანელოს.
- GPSD სრულად აისახება საქართველოს კანონმდებლობაში “პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის” მიღების შემდგომ.

სტატუსი:

სამართლებრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ GPSD-ის მოთხოვნები თითქმის სრულად აისახა საქართველოს კანონმდებლობაში (როგორც ამას მოითხოვს GPSD-ის ქვეპროგრამა).

წუნდებულ პროდუქციაზე პასუხისმგებლობის დირექტივა

სახელმძღვანელო:

LDPD-ის მოთხოვნების სრულად ასახვა საქართველოს კანონმდებლობაში.

მეთოდი:

სამართლებრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ LDPD-ის მოთხოვნები ძირითადად ასახულია საქართველოს კანონმდებლობაში, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, “მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ” საქართველოს კანონსა და “პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ” საქართველოს კანონში.

სტატუსი:

სამართლებრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ LDPD-ის მოთხოვნები სრულად ასახულია საქართველოს კანონმდებლობაში (როგორც ამას მოითხოვს LDPD-ის ქვეპროგრამა).

თავი XII. ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივის შემოღება პრიორიტეტული სამრეწველო სექტორებისათვის

სახელმძღვანელო:

- შეირჩეს პრიორიტეტული ეკონომიკური სექტორები/პროდუქცია მულტიკრიტერიუმებიანი ანალიზის საფუძველზე (მაგალითად, ექსპორტის პოტენციალი, საფრთხის მაჩვენებელი/დონე, განვითარებული ხარისხის ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნებიდან იმპორტის წილი, შესაბამისობის შეფასების პროცედურები, ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები) და ეტაპობრივად შემოღებულ იქნეს შესაბამისი ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივები ამ სექტორებისათვის/პროდუქციისათვის.

- ახალი რეგულირების შემოღებამ უნდა უზრუნველყოს ღია და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირება.

- ახალი რეგულირების, მათ შორის, ევროკავშირის ჰარმონიზებული დირექტივების შემოღების პარალელურად, სასურველია რეგლამენტების გავლენის შეფასების შედეგების (RIA) მხედველობაში მიღება.

გამოწვევები:

- დირექტივების მოთხოვნების სრულმასშტაბიანი განხორციელება შედარებით მოკლე ვადაში.

- ევროკავშირის ჰარმონიზებული დირექტივების შემოღებამ შესაძლოა გამოიწვიოს ამ დირექტივების მიხედვით წარმოებული პროდუქციის ასიმეტრიული უპირატესობა იმ პროდუქციის მიმართ, რომელიც წარმოებულია უსაფრთხოებისა და ხარისხის ინფრასტრუქტურით განსხვავებულ ქვეყანაში.

- ჰარმონიზებული საერთაშორისო სტანდარტები არ არის დარეგისტრირებული საქართველოს ეროვნული სტანდარტების სახით, რაც ართულებს მათ გამოყენებას ადგილობრივი მწარმოებლების/მომხმარებლების მიერ.

მიზნები:

- ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების ეტაპობრივი შემოღება სასურველია, დაეყრდნოს რეგულირების გავლენის შეფასებას (RIA) შერჩეული სექტორებისა და სექტორების მიხედვით პროდუქციის ჯგუფებისათვის.

- ბაზარზე განსათავსებლად ბარიერები არ უნდა არსებობდეს იმ პროდუქციისათვის, რომელიც წარმოებულია განვითარებული უსაფრთხოებისა და ხარისხის ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყანაში და არ უნდა იქნეს დაწესებული რაიმე დამატებითი შესაბამისობის შეფასების მოთხოვნები მათ ქართულ ბაზარზე განსათავსებლად.

- „თავსართი ფურცლის მეთოდი“ (Cover Page Method) გამოყენება ევროკავშირისა და საერთაშორისო ჰარმონიზებული სტანდარტების შემოღებისათვის/რეგისტრაციისათვის.

მეთოდები:

- შეიქმნას ქვეპროგრამა შერჩეული ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების ადგილობრივ კანონმდებლობაში ინკორპორირებისა და განხორციელებისათვის.

- ქვეპროგრამის განხორციელებისას ღია და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის მთავარი პრინციპები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

- ქვეპროგრამის განხორციელებისას რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) შედეგები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

სტატუსი:

- ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების წინასწარი კვლევა და შესაბამისი ანალიზი ჩატარდა სამუშაო ჯგუფისა და ადგილობრივი ექსპერტების მიერ.

- პრიორიტეტულ დარგებში დირექტივების იდენტიფიცირების მიზნით გამოყენებულ იქნა რანგირებისა და დაჯგუფების მეთოდი, რომელიც დაფუძნებული იყო ექსპერტთა მოსაზრებაზე და რეგულირების გავლენის წინასწარი შეფასების (RIA) მეთოდზე.

- ექსპერტებისა და სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ იდენტიფიცირებულ იქნა ექვსი კრიტერიუმი, თითოეულ კრიტერიუმს მიენიჭა შესაბამისი წონა. დირექტივის ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებთან მიმართებით, ანალიზის საფუძველზე, თითოეული დირექტივის რანგირება მოხდა იმ რიგითობით, რომელიც მოცემული იქნება ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების მიღების სამთავრობო პროგრამაში.

- “ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების მიღების ქვეპროგრამაში” მოცემული ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივების მიღების რიგითობის ანალიზი ჩატარდა შემდეგნაირად:

- ჩატარდა რამდენიმე ქვეყნის მაგალითის ანალიზი ახალი მიდგომის დირექტივების მიღების მიხედვით.

- შესწავლილ იქნა ახალი მიდგომის დირექტივების შესაბამისი ჰარმონიზებული სტანდარტები, რათა შემოწმებულიყო თანხვედრა და მომხდარიყო სხვადასხვა დირექტივაში მოცემული მსგავსი სტანდარტების იდენტიფიცირება.

მეორე მეთოდის საფუძველზე მიღებულმა შედეგმა აჩვენა, რომ ქვეპროგრამის პირველ ჯგუფში მოცემულ დირექტივებს არ აქვთ მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება სხვა დირექტივებთან, ისეთ ზოგად დირექტივებთანაც კი, როგორებიცაა: LVD ან EMC. დადგინდა, რომ პირველი ჯგუფიდან მხოლოდ დირექტივას – 95/16/EC ლიფტების თაობაზე აქვს 2 საერთო სტანდარტი, ერთი საერთო სტანდარტი დირექტივასთან – 2004/108 (89/336) EMC და 98/37/EC მექანიზმების თაობაზე; ხოლო მეორეს საერთო ჰქონდა მხოლოდ დირექტივასთან – 98/37/EC მექანიზმების თაობაზე.

იდენტიფიცირებული საერთო სტანდარტების შემდგომი ანალიზი აჩვენებს, რომ ეს სტანდარტები სპეციფიკურ პროდუქციას შეეხება, ანუ კონკრეტულად ლიფტებს და არ გააჩნიათ ზოგადი ხასიათი. შესაბამისად, “ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების მიღების ქვეპროგრამაში დირექტივების მოცემული რიგითობის მიხედვით გადმოტანა, პრაქტიკული თვალსაზრისით, ქმედით ამოცანას წარმოადგენს.

- გამოვლინდა დირექტივის ხუთი ჯგუფი:

პირველი ჯგუფი დაყოფილია სამ ქვეჯგუფად და მოიცავს ექვს დირექტივას. პირველი ქვეჯგუფი: ადამიანთა გადასაცვანად გამიზნული საბაგირო მოწყობილობები 2000/9/EC; ლიფტები 95/16/EC; მეორე ქვეჯგუფი: წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები 97/23/EC; მარგი ქმედების მოთხოვნები თხევადი ან გაზის საწვავზე მომუშავე ცხელი წყლის ახალი ბოილერებისათვის 92/42/EEC; ჩვეულებრივი წნევის ჭურჭელი 87/404/EEC; მესამე ქვეჯგუფი: რეკრეაციული მოწყობილობები 94/25/EC.

მეორე ჯგუფი დაყოფილია ორ ქვეჯგუფად და მოიცავს ხუთ დირექტივას. პირველი ქვეჯგუფი: სამოქალაქო დანიშნულების ფეთქებადი მასალები 93/15/EEC; ფეთქებად ატმოსფეროში გამოსაყენებელი მოწყობილობები (ATEX) 94/9/EC; მეორე ქვეჯგუფი: რადიოტექნიკის მოწყობილობები და ტელეკომუნიკაციების ტერმინალის მოწყობილობები, მათი შესაბამისობის შეფასების ურთიერთთაღიარება 1999/5/EC; ელექტრომაგნიტური თავსებადობა (EMC) 2004/108/EC; დაბალი ძაბვა 2006/95/EC.

მესამე ჯგუფი შედგება სამი დირექტივისაგან: სამედიცინო მოწყობილობები 93/42/EEC; ინვიტრო დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობები 98/79/EC; აქტიურად იმპლანტირებადი სამედიცინო მოწყობილობები 90/385/EEC.

მეოთხე ჯგუფი შედგება სამი დირექტივისაგან: აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები 90/396/EEC; პერსონალური დაცვის აღჭურვილობა (PPE) 89/686/EEC; მოწყობილობა/მექანიზმები 98/37/EC.

მეხუთე ჯგუფი შედგება ოთხი დირექტივისაგან: სათამაშოების უსაფრთხოება 88/378/EEC; სამშენებლო მასალები 89/106/EEC; არაავტომატური საწონი ინსტრუმენტები 90/384/EEC; გამზომი ინსტრუმენტები 2004/22/EC.

- პირველი ჯგუფის დირექტივების ინკორპორირება/მიღება უნდა მოხდეს სამთავრობო პროგრამის მიღებიდან პირველ 36 თვეში.

- სხვა ჯგუფების მიღება მოხდება პირველი ჯგუფის სრულად ინკორპორირების/მიღების შემდეგ და უფრო დეტალურად გაიწერება ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების მიღების ქვეპროგრამაში.

თავი XIII. შესაბამისობის შეფასების ინფრასტრუქტურა

სახელმძღვანელო:

- აკრედიტაცია ხორციელდება საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების შესაბამისად.
- აკრედიტაცია ნებაყოფლობითია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონით რეგულირებული სფეროსათვის აკრედიტაცია სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს.
- განვითარებული ხარისხის ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნებში აკრედიტებულ ლაბორატორიებს აქვთ უფლება, იმოქმედონ საქართველოს ტერიტორიაზე, იმ შემთხვევაში, თუ ეს ლაბორატორიები შეესაბამება საერთაშორისო და ევროკავშირის მოთხოვნებს.

გამოწვევები:

- საქართველოს არ აქვს საშუალება, იქონიოს შესაბამისობის შეფასების ორგანოები (CAB) ყველა სფეროში, სადაც ამგვარ შეფასებას მოითხოვს ბაზარი.
 - გაზომვების მიკვლევადობის სათანადო დონის მიღწევა.
 - აკრედიტაციის პროცედურები სრულად არ შეესაბამება ISO 17011ს.
- ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები, შესაბამისობის შეფასების შედეგების აღიარების მიზნით.

მიზნები:

- CABის სისტემის შემდგომი განვითარება საერთაშორისოდ დადგენილი საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.
- ISO 17011ის შესაბამისად ადგილობრივი აკრედიტაციის პროცედურების კრიტიკული გადახედვა და განახლება.
- იმის უზრუნველყოფა, რომ იმპორტირებული პროდუქცია, პროცესები და მომსახურება სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლებითაც ეროვნული პროდუქცია, პროცესები და მომსახურება სტანდარტებისა და ტექნიკური რეგულირების სფეროში. ეს უკანასკნელი არ უნდა წარმოადგენდეს შეფერხებას საერთაშორისო ვაჭრობისათვის, როდესაც საიმპორტო პროდუქცია შეესაბამება იმპორტიორი ქვეყნის სტანდარტებსა და ტექნიკურ რეგლამენტებს, ან როდესაც ისინი შეესაბამებიან უფრო მკაცრ სტანდარტებსა და ტექნიკურ რეგლამენტებს, ვიდრე ეს დადგენილია იმპორტიორი ქვეყნის მიერ.

მეთოდები:

- შესაბამისობის შეფასების პროცედურები უნდა ჩატარდეს საქართველოში აკრედიტებული CABების მეშვეობით, ისევე როგორც EA/ILAC/IAF/MRA/MLA ხელმოწერი სახელმწიფოების CABების მეშვეობით.
- საკანონმდებლო დონეზე შესაბამისობის შეფასების ისეთი პროცედურების შემუშავება, რომლებიც სრულად შეესაბამება საერთაშორისოდ დადგენილ საუკეთესო პრაქტიკას.
- ISOს შესაბამისობის შეფასების კომიტეტის (CASCO) საქმიანობაში მონაწილეობა.

- სამომავლოდ DC FTAs ფარგლებში, საქართველო აცხადებს მზადყოფნას, დათანხმდეს EUs შეტყობინებების პროცედურებს, მათ შორის, ამ შეტყობინებებზე უფლებამოსილი საცნობარო პუნქტის განსაზღვრას და კანონმდებლობაში ასახავს მათთან დაკავშირებულ პროცედურებს.

- საქართველო მოითხოვს ტექნიკურ დახმარებასა და ტრენინგს საჯარო მოხელეებისათვის 98/48/EC დირექტივის იმპლემენტაციის საკითხში (შეტყობინებებზე უფლებამოსილი საცნობარო პუნქტის თაობაზე).

- “პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის” თავი “შესაბამისობის შეფასების თაობაზე” უნდა განმარტავდეს, რომ აკრედიტაცია ნებაყოფლობითია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი მოითხოვს რეგულირებული სფეროსათვის სავალდებულო აკრედიტაციას.

- GAC-ის მიერ სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება CAB-ის მიერ განხორციელებულ გაზომვათა მიკვლევადობის სფეროში.

- საქართველო ხელს შეუწყობს შესაბამისობის შეფასების პროცედურების მიღების საკითხში მრავალმხრივი შეთანხმებების შემუშავებას (მაგალითად, დაკალიბრების, ტესტირების, ინსპექტირების, სერტიფიკაციისა და აკრედიტაციის საკითხები), ან მათი არარსებობის შემთხვევაში, ხელს შეუწყობს ორმხრივი ან ცალმხრივი, ან სხვა შეთანხმებების ხელმოწერას.

სტატუსი:

“პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის” თავი “შესაბამისობის შეფასების თაობაზე” შემუშავებულია კანონპროექტის სახით და ასახავს ზემოაღნიშნულ პრინციპებს.

თავი XIV. სტანდარტიზაცია

სახელმძღვანელო:

- საერთაშორისო სტანდარტების უპირატესობა.
- ნებაყოფლობითი სტანდარტიზაციის პრინციპი.
- საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

- WTO TBT საინფორმაციო ცენტრი უზრუნველყოფს არსებული სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და ქვეყნის შიგნით და მის გარეთ შესაბამისობის შეფასების პროცედურების თაობაზე ინფორმაციის გაცვლას.

- სტანდარტიზაციის კომიტეტები მოიცავს ხარისხის ინფრასტრუქტურისა და წარმოების სხვადასხვა სფეროს, სხვა სპეციალიზებული კომიტეტების შექმნა ჩაითვლება არასასურველად.

- ახალი ტექნიკური რეგლამენტები ან/და სტანდარტები, რომლებიც ვაჭრობაში ქმნის დამატებით ტექნიკურ ბარიერებს, ვიდრე ეს აქამდე არსებობდა, შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში დაინტერესებული მხარის მიერ.

გამოწვევები:

- GOSTის ფართოდ გამოყენება წარმოების პროცესში, საცდელ ლაბორატორიებში და თანამედროვე ტექნიკის სიმცირე.

- საჯაროკერძოპარტნიორობის მოდელების გამოყენების გაძლიერება GEOSTMის ტესტირების ლაბორატორიებში.

მიზნები:

საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების შემოღება და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მეთოდები:

- საერთაშორისო სტანდარტების მიღება „თავსართი ფურცლის მეთოდის“ გამოყენებით და ამ მეთოდის კანონმდებლობაში ასახვა.

- GEOSTMმა გამოაქვეყნოს საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული მოქმედი სტანდარტების სია, მათ შორის, ვებგვერდზე განთავსებით.

- საქართველო არ მიიღებს ადგილობრივ სტანდარტებს იმ სფეროში, სადაც უკვე არსებობს საერთაშორისო სტანდარტები.

- GEOSTMის ტესტირების ლაბორატორიებში საჯაროკერძოპარტნიორობის მოდელების გამოყენების ანალიზი და მათი, როგორც ბაზარზე მონაწილის მოქმედების და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინება.

სტატუსი:

- GEOSTM არის ISO-ის წევრ-კორესპონდენტი.

- GEOSTM არის CEN-ის აფილირებული წევრი.

- საქართველომ ხელი მოაწერა “კარგი პრაქტიკის კოდექსს” სტანდარტების მომზადების, მიღებისა და გამოყენების სფეროში (WTO TBT დანართი N3). სტანდარტიზაციის პროცესი მიმდინარეობს საერთაშორისო სახელმძღვანელოებისა და დოკუმენტების შესაბამისად (მაგალითად, ISO სახელმძღვანელო 21).

- “პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის” თავი “სტანდარტიზაციის თაობაზე” მუშავდება ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით.

თავი XV. მეტროლოგია

სახელმძღვანელო:

- პრიორიტეტულ სფეროებში ადგილობრივ გაზომვათა სტანდარტების SI დანაყოფებთან მიკვლევადობის უზრუნველყოფა.
- პრიორიტეტულ სფეროებში აუცილებელი მეტროლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ქვეყნის მასშტაბით.
- კანონმდებლობით ნათლად უნდა განისაზღვროს სამართლებრივი მეტროლოგიის სფერო საერთაშორისო დოკუმენტებისა და სახელმძღვანელოების შესაბამისად (მაგალითად, OIML-ის დოკუმენტები).

გამოწვევები:

- ვინაიდან საქართველოსათვის ყველა გაზომვათა ეროვნული სტანდარტების ბაზა (ეტალონი) არ არის ხელმისაწვდომი და, ზოგიერთ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, პრიორიტეტული სფეროების გამოვლენა შესაბამისი ეროვნული სტანდარტების (ეტალონები) ბაზის შექმნის მიზნით.
- GEOSTM-მა არ შექმნას ისეთი ახალი წესები, რომლებიც განსხვავდებიან საუკეთესო პრაქტიკისა და სახელმძღვანელოებისაგან იმ სფეროებში, რომლებიც დარეგულირებულია შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების საფუძველზე.
- GEOSTM-ის საქმიანობის წარმართვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
- მოძველებული ეროვნული გაზომვების სტანდარტების ბაზა (ეტალონები). პრიორიტეტულ სფეროებში მიკვლევადობისა და აღიარების მიზნით გაზომვათა ეროვნული სტანდარტების სიმცირე, მათი შენახვის რესურსების არარსებობა.
- საქართველო არ არის OIML-ის წევრი.

მიზნები:

- ეროვნულ გაზომვათა სტანდარტების SI დანაყოფებთან მიკვლევადობის შესაძლებლობა და მათი საერთაშორისო აღიარება პრიორიტეტულ სფეროებში – ეროვნული გაზომვის სტანდარტების განვითარება, განახლება, მათი შენახვისათვის/მართვისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა (გარემოს დაცვის პირობები, შენობები, შედარებები, ა.შ.) და GEOSTM-ში ხარისხის მართვის სისტემის შემოღება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
- სამართლებრივი მეტროლოგიის სფეროს ორგანიზება სამართლებრივი მეტროლოგიის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIML) დოკუმენტების შესაბამისად, მეტროლოგიის ზედამხედველობის შემოღება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად; OIML-თან თანამშრომლობის განვითარება.
- ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება ბაზარზე მონაწილედ მოქმედების დროს.

მეთოდები:

- “გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ” საქართველოს კანონის გარდაქმნა “პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის” თავად “მეტროლოგიის შესახებ” და იმ გაზომვათა ინსტრუმენტების ნუსხის განსაზღვრა, რომლებიც ექვემდებარებიან სავალდებულო დამოწმებას OIML საერთაშორისო სტანდარტებისა და ადგილობრივი მოთხოვნებიდან გამომდინარე.

- “პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის” თავი “მეტროლოგიის შესახებ” განმარტავს სამართლებრივი მეტროლოგიის სფეროს.

- საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ეროვნული გაზომვების სტანდარტული ბაზის განვითარება ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარების პარალელურად.

- გაზომვათა მიკვლევადობის უზრუნველყოფისათვის, გაზომვათა ეროვნული სტანდარტების (ეტალონები) არარსებობის შემთხვევაში, საქართველო, საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე, სამართლებრივად დაუშვებს CIPM MRAs ხელმძღვანელი ქვეყნების ეროვნული მეტროლოგიური ინსტიტუტების ეროვნული გაზომვების სტანდარტის ბაზის გამოყენებას.

- OIML-ის წევრობისათვის განაცხადის გაკეთება.

- COOMET-ის ფარგლებში თანამშრომლობის გაძლიერება გაზომვათა მიკვლევადობის განსამტკიცებლად.

- შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მიღება სამართლებრივი მეტროლოგიის დირექტივებისა და OIML-ის რეკომენდაციების საფუძველზე.

სტატუსი:

- GEOSTM არის GCPM-ის (წონისა და გაზომვათა გენერალური კონფერენცია) ასოცირებული წევრი 2008 წლიდან. GEOSTM-მა ხელი მოაწერა შეთანხმებას ეროვნულ გაზომვათა სტანდარტებისა და ეროვნული მეტროლოგიის ინსტიტუტების წონისა და გაზომვათა საერთაშორისო კომიტეტების (CIPM MRA) მიერ გაცემული დაკალიბრებისა და გაზომვათა სერტიფიკატების ურთიერთაღიარების თაობაზე.

- GEOSTM არის COOMET-ის წევრი.

- “პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის” თავი “მეტროლოგიის შესახებ” მუშავდება ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით.

- მომზადდა და ძალაში შევიდა ცვლილებები საქართველოს კანონში “გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ”, რათა აღმოფხვრილიყო ვაკუუმი სამართლებრივი მეტროლოგიის სფეროში. შემდგომში მისი გადმოტანა უნდა მოხდეს “პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის” ცალკეულ თავში. ამ ცვლილებების საფუძველზე ნათლად ჩამოყალიბდა ცნებები და განმარტებები, ასევე, მათი შესაბამისობა VIM-თან.

დასკვნა

1. სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს TBT-ების გაუქმებისათვის მყარი ბაზის, თანამედროვე ტექნიკური რეგულირებისა და ხარისხის ინფრასტრუქტურის სისტემის ჩამოყალიბება, ასევე, ადამიანის ჯანმრთელობის, საკუთრების, სიცოცხლისა და გარემოს დაცვის ადეკვატური დონის უზრუნველყოფა. მისი მიზანია, აგრეთვე, ასახოს

ევროკომისიის მოსაზრებები და დაკვირვებები საქართველოს მიერ EUSთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) მოლაპარაკებების წარმოების თაობაზე.

2. სტრატეგია ეფუძნება იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც აყალიბებს ღია საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი ვაჭრობის არსებობის აუცილებლობას; ეს პრინციპები ქმნის პროდუქციის უმაღლეს დონეზე ხელმისაწვდომობას უმცირესი რისკებით და ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტების უპირატესობას, ბაზარზე განთავსების სიმეტრიულ და არადისკრიმინაციულ პირობებს ერთი და იმავე ხარისხის პროდუქციისათვის; ასევე, აცხადებს, რომ არ იარსებებს TBT და დამატებითი შესაბამისობის შეფასების მოთხოვნები საქართველოს ბაზარზე განთავსებისათვის იმ პროდუქციისათვის, რომელიც წარმოებულია განვითარებული უსაფრთხოებისა და ხარისხის ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნებში.

3. სტრატეგია ეფუძნება სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც ყველა სავალდებულო მოთხოვნა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის სფეროში მოცემულია ტექნიკურ რეგლამენტებში; ტექნიკური რეგლამენტები მიიღება საქართველოს კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან საქართველოს მთავრობის დადგენილების სახით; სტანდარტები ნებაყოფლობითია და შემუშავებულია სახელმწიფოსა და ნებისმიერი დაინტერესებული მხარის მიერ; საქართველო თავს შეიკავებს ეროვნული სტანდარტების მიღებისაგან იმ სფეროებში, რომლებიც უკვე დარეგულირებულია საერთაშორისო სტანდარტებით; არ იარსებებს მესამე მხარის სერტიფიკაცია ბაზარზე განთავსებამდე; ბაზარზე ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი უწყება არ გაატარებს შესაბამისობის შეფასების ღონისძიებებს; შესაბამისობის შეფასება წარმოებს ტექნიკურად კომპეტენტური შესაბამისობის შეფასების პირის მიერ; აკრედიტაცია უნდა ითვლებოდეს CABის კომპეტენციის დადასტურების საშუალებად; მწარმოებლებს შეუძლიათ გამოიყენონ საერთაშორისოდ დადგენილი ფორმები შესაბამისობის შეფასების სფეროში, მათ შორის, რეგლამენტების და/ან სტანდარტების ან შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული პირობების აღიარების თვითდეკლარირების გზით; შესაბამისობის შეფასების შედეგების/დოკუმენტების აღიარება/მიღება/დადასტურება, რომლებიც გაცემულია იმ მწარმოებლების/მომწოდებლების/ აკრედიტებული ან შესაბამისად ავტორიზებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ განვითარებული უსაფრთხოებისა და ხარისხის ინფრასტრუქტურა (მაგალითად, EU, OECD); არ უნდა არსებობდეს რაიმე დამატებითი შესაბამისობის შეფასება იმ პროდუქციისათვის, რომელიც მარკირებულია განვითარებული უსაფრთხოებისა და ხარისხის ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნის ნიშნით (მაგალითად, CE); მესამე მხარის შესაბამისობის შეფასების ორგანოების ინსტიტუციონალური მიუკერძოებლობა; საჯაროკერძოპარტნიორობის მოდელების შეძლებისდაგვარად გამოყენება ბაზარზე ზედამხედველობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

4. სტრატეგია მოიცავს სახელმძღვანელოებს, გამოწვევებს, მიზნებსა და მეთოდებს, ამ დოკუმენტში მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით აყალიბებს გასატარებელ ღონისძიებებსა და საქართველოს კანონმდებლობით დასარეგულირებელ საკითხებს:

• **ტექნიკური რეგულირების ნაწილში** – დასარეგულირებელია ტექნიკურ რეგლამენტებთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. მისაღებია კანონი, რომელიც მოიცავს ტექნიკური რეგლამენტების დეფინიციას, გავრცელების სფეროს და იურიდიულ ძალას; უნდა

განისაზღვროს კომპეტენტური სამთავრობო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ტექნიკური რეგლამენტების რეგისტრაციასა და მასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხების უზრუნველყოფაზე.

- **ხარისხის ინფრასტრუქტურის ნაწილში** – განსასაზღვრია “ტექნიკური რეგულირების” თავი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად; შესაბამისობის შეფასების ნაწილის იდენტიფიცირება GACისა და GEOSTMის ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გასაძლიერებლად, მათი ფუნქციებისა და კომპეტენციების განმარტებისათვის; მისაღწევია შესაბამისობის შეფასების განმახორციელებელი ორგანოების ტექნიკური კომპეტენტურობა; ნაჩვენები უნდა იქნეს, რომ აკრედიტაცია სასურველი საშუალებაა CABების ტექნიკური კომპეტენციის დემონსტრირებისათვის; ხარისხის საბჭომ უნდა მოახდინოს პრიორიტეტების იდენტიფიცირება და რეკომენდაციების შემუშავება ხარისხის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად; უზრუნველყოფილი უნდა იყოს კერძო სექტორის, ბიზნესასოციაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა სტანდარტიზაციის კომიტეტების მუშაობის პროცესში.

- **საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინტეგრაციის ნაწილში** – აუცილებელია შემდგომი ნაბიჯები GACსა და EAs შორის თანამშრომლობის კონტრაქტის დებულებების შესაბამისად; ასევე, დაცული უნდა იყოს GACისა და ILACის აფილირებული წევრობის პირობები; შეიქმნას ეროვნული ტექნიკური კომიტეტი GEOSTMში IECს რეკომენდაციების შესაბამისად.

- **ბაზარზე ზედამხედველობის ნაწილში** – წარმოდგენილ უნდა იქნეს WTOს პრინციპებზე დაფუძნებული ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის პრინციპები “პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის” მიღების გზით; შემოღებულ უნდა იქნეს ადეკვატური სახელმწიფო კონტროლი და მესამე პირთა ინსპექტირების შესაძლებლობა; ბაზარზე ზედამხედველობა შერჩეული სექტორებისათვის, პროდუქციისა და მეთოდებისათვის უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად (პირველი ეტაპი – რეაქტიული ბაზარზე ზედამხედველობის წარმოება; მეორე ეტაპი – პროაქტიული ბაზარზე ზედამხედველობა; პროდუქციის მიხედვით ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების მიღების პარალელურად); 2011 წლის ბოლოსათვის უნდა შემუშავდეს ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგია, შესაბამისი ინსტიტუციონალური რესტრუქტურის ჩათვლით, რომელიც უნდა განხორციელდეს EUs მოთხოვნებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. შესწავლილ უნდა იქნეს მესამე ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქციის შესაბამისობის შეფასების თაობაზე ევროსაბჭოს რეზოლუცია 339/93ის იმპლემენტაციისათვის სხვადასხვა საშუალება; გამოვლენილ უნდა იქნეს ის სფეროები, სადაც შესაძლებელი იქნება ტექნიკური დახმარების გაწევა.

- **პროდუქციის უსაფრთხოების ზოგადი დირექტივისა და წუნდებულ პროდუქციაზე პასუხისმგებლობის დირექტივის მოთხოვნების შემოღების თაობაზე** – “პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი” ასახავს პროდუქციის უსაფრთხოების ზოგად დირექტივას და უზრუნველყოფს ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის ადეკვატურ დონეს; EUs პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივის მოთხოვნები მთლიანად უნდა აისახოს ქართულ კანონმდებლობაში. სამომავლოდ ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს გარკვეულ სექტორებში უსაფრთხოების მოთხოვნების უზრუნველყოფისაკენ; RAPEXის სისტემის ეტაპობრივი იმპლემენტაცია, რომელიც ეფუძნება საზოგადოების ინფორმაციის

მყისიერი გაცვლის სისტემის მართვისა (RAPEX) და შეტყობინებების სახელმძღვანელოებს, რომლებიც წარმოდგენილია 2001/95/EC დირექტივის მე11 მუხლში.

2011 წლის ბოლომდე შესამუშავებელი ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგიის თანახმად, პირველ ეტაპზე უნდა შეიქმნას RAPEX სისტემაზე პასუხისმგებელი სამთავრობო ორგანო, ხოლო მეორე ეტაპზე უნდა ჩამოყალიბდეს ფუნქციონალური სამთავრობო სააგენტო და RAPEX სისტემა.

• **პრიორიტეტულ სამრეწველო სექტორებში ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების შემოღების ნაწილში** – ახალი და გლობალური მიდგომის წინასწარი კვლევა და შესაბამისი ანალიზი ჩატარდა სამუშაო ჯგუფებისა და ადგილობრივი ექსპერტების მონაწილეობით; შემდგომში პრიორიტეტულ სფეროებში დირექტივების იდენტიფიცირების მიზნით რანგირებისა და დაჯგუფების მეთოდი გამოყენებულ იქნა ექსპერტთა მოსაზრებისა და წინასწარი რეგლამენტირების შედეგის შეფასების მეთოდების შესაბამისად; ექვსი კრიტერიუმი იდენტიფიცირებულ იქნა ექსპერტებისა და სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ. თითოეულ კრიტერიუმს მიენიჭა შესაბამისი წონა; დირექტივების ამ კრიტერიუმებით ანალიზის შედეგად თითოეულ დირექტივას მიენიჭა რანგი იმ თანმიმდევრობით, რომლებიც მოცემულია ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების მიღების ქვეპროგრამაში.

• **შესაბამისობის შეფასების ინფრასტრუქტურის ნაწილში** – აკრედიტაცია უნდა იყოს ნებაყოფლობითი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია რომელიმე სფეროს სავალდებულო აკრედიტაცია; საქართველოში ან MRA/MLAs ხელმომწერი ქვეყნების აკრედიტებული/უფლებამოსილი CABების მეშვეობით შესაძლებელია, განხორციელდეს შესაბამისობის შეფასების პროცედურები; შესაბამისობის შეფასების პროცედურების მოთხოვნების თაობაზე უნდა შეიქმნას კანონპროექტი, რომელიც სრულად შეესაბამება შესაბამისობის შეფასების საერთაშორისო მოთხოვნებს; სამომავლოდ DCFTAs ფარგლებში, საქართველო აცხადებს მზადყოფნას, დაეთანხმოს ევროკავშირის შეტყობინების პროცედურებს, მათ შორის, შეტყობინებაზე პასუხისმგებელი ორგანოსა და მოკვლევის პუნქტის გამოყოფის საფუძველზე, ასევე, კანონმდებლობით განსაზღვროს დასაცავი დეტალური პროცედურები; საქართველო მოითხოვს ტექნიკურ დახმარებასა და ტრენინგს შეტყობინებაზე პასუხისმგებელ საჯარო მოხელეთა შესახებ 98/48/EC (შეტყობინებაზე პასუხისმგებელი ორგანოსა და ეროვნული საინფორმაციო ცენტრის თაობაზე) დირექტივის იმპლემენტაციაში; აკრედიტაცია ნებაყოფლობითი იქნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი მოითხოვს რომელიმე კონკრეტული სფეროსათვის სავალდებულო აკრედიტაციას.

• **სტანდარტიზაციის ნაწილში** – საერთაშორისო, ევროპული სტანდარტების მიღება „თავსართი ფურცლის მეთოდის“ (Cover Page Method) გამოყენებით; GEOSTM-ის მიერ საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული ჰარმონიზებული სტანდარტების სიის გამოქვეყნება; უნდა შეიზღუდოს ეროვნული სტანდარტების შექმნა იმ სფეროებში, სადაც არსებობს შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკა; ტესტირების ლაბორატორიების ორგანიზაციულ სტრუქტურაში საჯაროკერძოპარტნიორობის მოდელის გამოყენება; საჯაროკერძოპარტნიორობის მოდელის ხარისხისა და მათი გამოყენების გადასინჯვა.

• **მეტროლოგიის ნაწილისათვის** – განისაზღვროს გაზომვის ინსტრუმენტების სია, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო დამოწმებას OIML-ის რეკომენდაციებისა და ადგილობრივი მოთხოვნილებების შესაბამისად; საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ერთდროულად, ადამიანური რესურსების განვითარებასთან ერთად, უნდა განვითარდეს ეროვნული გაზომვების სტანდარტების ბაზა; გაზომვების მიკვლევადობის უზრუნველყოფისათვის, გაზომვების სტანდარტების

ეროვნული ბაზის (ეტალონები) არარსებობის პირობებში, საქართველომ საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე უნდა დაუშვას იმ ქვეყნების ეროვნული მეტროლოგიური სტანდარტების ბაზების გამოყენება, რომლებიც წარმოადგენენ CIPM MRAს ხელმომწერებს; OIML-ის წევრობაზე განაცხადის გაკეთება; COOMET-ის ფარგლებში თანამშრომლობის გაძლიერება, რათა გაუმჯობესდეს გაზომვათა მიკვლევადობა; შემუშავდეს კანონქვემდებარე აქტები სამართლებრივი მეტროლოგიის დირექტივებისა და OIM-ის რეკომენდაციების შესაბამისად.